გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
#58, შაბათი, 23 მარტი, 2018 წელი

აკადემიკოსი გურამ ალექსიძე:
"საჭიროა სამეცნიერო კვლევების ერთიანი მძლავრი ცენტრი"

სოფლის მეურნეობა მუდამ იყო საქართველოს - უძველესი მიწათმოქმედების ქვეყნის - ეკონომიკის ქვაკუთხედი. აქედან გამომდინარე, დიდად მნიშვნელოვანია, თუ ვინ ზრუნავს დღესდღეობით მის განვითარებაზე, ცალკეულ დარგთა გაფართოება-გაღრმავებასა და მეცნიერების ბოლო მიღწევათა შესაბამისად აღჭურვაზე. ამ თვალსაზრისით უდავოდ გამორჩეულია მცენარეთა დაცვის საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტი და მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახლადარჩეული აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გურამ ალექსიძე, რომელიც გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია.

პროფესიის არჩევისას, თელავში დაბადებული მომავალი სწავლული, მამის კვალს გაჰყვა, რომელიც ცნობილი მეცნიერი, საქართველოში ვაზის დაცვის მიმართულების ერთ-ერით ფუძემდებელი, პროფესორი ნიკო ალექსიძე გახლდათ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბატონმა გურამ ალექსიძემ სწავლა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი მცენარეთა დაცვის სპეციალობით განაგრძო, რაც 1966 წელს საკანდიდატო, ხოლო 1975 წელს სადოქტორო დისერტაციების დაცვით დააგვირგვინა.

1989 წელს სსრ კავშირის უმაღლესმა სადისერტაციო კომისიამ ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ გურამ ალექსიძეს პროფესორის წოდება მიანიჭა. 1991 წელს იგი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1995 წელს ნამდვილ წევრად აირჩიეს.

13 წლის განმავლობაში იგი ჯერ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევით, შემდეგ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტებში მუშაობდა. 1995-2004 წლებში იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, 2004 წლიდან - ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 2013 წელს კი აკადემიის პრეზიდენტი გახდა.

აღსანიშნავია, რომ 1983-1987 წლებში პროფესორი გურამ ალექსიძე წარმატებით მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში სსრ კავშირის საელჩოში საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლად.

აკადემიკოს გურამ ალექსიძის სამეცნიერო მოღვაწეობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მას გამოქვეყნებული აქვს 230-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 80 საერთაშორისო გამოცემებში დაისტამბა. მისი საქმიანობა

საერთაშორისო ორგანიზაციებში 85-ჯერ არის ციტირებული ინტერნეტ-გამოცემებში, მისი ხელმძღვანელობით დაცულია ორ ათეულამდე საკანდიდატო დისერტაცია. 17 მონოგრაფიული ხასიათის წიგნებსა და ოცზე მეტ ბროშურაში ნათლადაა ასახული ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კულტურებში ფართოდ გავრცელებული მავნებლებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის მეთოდების შერჩევისას მეცნიერი უპირატესობას ანიჭებს ბიოსისტემების მათემატიკური მოდელების თეორიულ საფუძვლებს, რომელთა დამუშავებისთვის გამოყენებულია კომპიუტერული სისტემები.

მონოგრაფიებსა და სხვა სახის სამეცნიერო ნაშრომებში დასაბუთებულია მცენარეთა დაცვის განვითარების თანამედროვე მეთოდები და სამომავლო გზები და ყოველივე ეს ეკოლოგიურად უსაფრთხო საშუალებების ძებნა-გამოყენებაზეა დაფუძნებული. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა მეცნიერის მოღვაწეობასთან დაკავშირებით მისი კოლეგების, საქვეყნოდ ცნობილი სწავლულების გამოთქმული მოსაზრებები.

აი, რას წერს საფრანგეთის სოფლის მეურნეობის, აგრეთვე ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების პრეზიდენტი, პროფესორი მიშელ ტიბიერი: "პროფესორი გურამ ალექსიძე არის გამორჩეული ქართველი მკვლევარი მცენარეთა დაცვის დარგში, მას კარგად იცნობენ საზღვარგარეთ. მისი შრომები გამოქვეყნებულია საერთაშორისო ჟურნალებში, მათ შორის მაღალრეიტინგულ გამოცემებში". ასევე მაღალ შეფასებას აძლევს მის შრომებს კალიფორნიის დევისის უნივერსიტეტის პროფესორი კალვინ ქველსეტი: "მეორედ მე პროფესორ ალექსიძეს შევხვდი 2007 წელს, როდესაც საქართველოში მცენარეთა გენეტიკური რესურსების კონსულტანტი ვიყავი და ამ დარგში ეროვნულ პროგრამას ერთობლივად ვამუშავებდით. პროფესორმა გ. ალექსიძემ, როგორც ეროვნულმა კოორდინატორმა, დიდი წვლილი შეიტანა ამ პროგრამის მომზადებასა და მის განხორციელებაში".

აკადემიკოსი გურამ ალექსიძე დიდ და ნაყოფიერ სამუშაოს ეწევა მრავალი სამამულო თუ საერთაშორისო ორგანიზაციის, საზოგადოების, საბჭოს თუ სხვა სახის ორგანიზაციის მოღვაწეობაში, რაც საგანგებოდაა აღნიშნული არაერთი ეროვნული თუ უცხოური ჯილდოთი.

საყურადღებოა მისი მონაწილეობა სამეცნიერო საგრანტო-პროექტებში. კერძოდ, 2007-2008 წლებში იგი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრანტის „მინდვრის კულტურების გენეტიკური რესურსების შეგროვება-კონსერვაცია, დოკუმენტაცია და გამოყენების" შემსრულებელი, 2008-2009 წლებში - იმავე სამინისტროს გრანტის "ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ ბრძოლის ოპტიმალური ღონისძიებების შესწავლის", სწორედ ამ პროექტის ფარგლებში განახორციელა მან ჩინეთიდან ამ მავნებლის წინააღმდეგ მისი ბუნებრივი მტრის „ჩიოია კუნეას“ ინტროდუქცია საქართველოში. 2009-2011 წლებში გრანტის "სუბტროპიკული კულტურების მავნებლების წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდების შესწავლა

და დანერგვა ენტომოფაგების გამოყენებით" ხელმძღვანელი. თანაავტორებთან ერთად მის მიერ დამუშავებული „ბიოსისტემების მოდელირება და მისი გამოყენება მცენარეთა დაცვაში“ ამჟამად მონოგრაფიის სახით იბეჭდება გერმანიაში „ლამბერტის“ გამომცემლობაში. 2012-2015 და შემდეგ 2014-2017 წლებში მეცნიერი შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის კიდევ ორი გრანტის ხელმძღვანელი და მენეჯერი გახლდათ.

უაღრესად ნაყოფიერია მეცნიერის მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმებში, რომელთა შორისაა: ა.შ.შ., იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, ჩინეთი, რუსეთი, ირანი, ინდოეთი, საფრანგეთი, ინგლისი, მექსიკა, სამხრეთ აფრიკა და სხვ., აგრეთვე ჩვენში გამართული სამეცნიერო სემინარები და კონფერენციები.

მასთან სტუმრობის დროს სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენი საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა სადღეისოდ საქართველოში მეცნიერების მდგომარეობასა და მისი აღმავლობისთვის აუცილებლად მისაღებ ზომებს შეეხო.

- ამჟამად ქვეყანა განვითარების ახალ და, შესაბამისად, მეტად რთულ ეტაპს გადის, რაც წინა პერიოდის მთელი რიგი სირთულის შედეგია, რა დროსაც ეკონომიკასთან ერთად საკმაოდ დიდი პრობლემების წინაშე უმაღლესი განათლების სისტემაც და მეცნიერებაც აღმოჩნდნენ, - აღნიშნა ბატონმა გურამმა. - საბედნიეროდ, დღესდღეობით ვითარება შეცვლილია, როგორც იტყვიან, ხელისუფლება "მეცნიერებას მიუბრუნდა", ამდენად, ყველანი ერთობ საგულისხმო გამოწვევების წინაშე ვდგავართ. რაც შეეხება აგრარულ მეცნიერებას, მის უდიდეს როლზე მიწათმოქმედების უძველეს ქვეყანაში ლაპარაკი, ვფიქრობ, ზედმეტია. ამ მხრივ აგრარული მიმართულების ყველა დარგში მომუშავე ორგანიზაციების კოორდინირებაში, რაშიც ცხადია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, უდავოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, როგორც საერთოდ, მეცნიერების ეროვნული კოორდინატორი დიდ როლს ასრულებს.

- ბატონო გურამ, რა არის საჭირო საიმისოდ, რომ აგრარულ სფეროში სამეცნიერო კვლევების პრაქტიკული შედეგები ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც შეესაბამებოდეს და ეკონომიკის წინსვლასაც უწყობდეს ხელს?

- პირველი, რაც, ვფიქრობ, უნდა გაკეთდეს, ამჟამად აგრარული უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი პროფილის ძირითადი კვლევითი ინსტიტუტების სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისთვის გადაცემა უნდა იყოს. საქმე ის გახლავთ, რომ ერთიანი, მძლავრი ცენტრიდან მართული სამეცნიერო კვლევები ყოველთვის უფრო ეფექტურია განცალკავებულად მომუშავე სტრუქტურების კვლევებთან და მიღებულ შედეგებთან შედარებით. ასეთი დაქვემდებარება, ცხადია, თავის მხრივ, გააიოლებს თემატიკიდან გამომდინარე ზოგიერთი ამჟამად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შერწყმას. ასევე საჭირო გახდება აკადემიაში გარკვეული სტრუქტურული ცვლილებებიც. ამ შემთხვევაში, კერძოდ, ვგულისხმობ "დანერგვის (ახალი ტექნოლოგიების გავრცელების) განყოფილების", ასევე "ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის კურსების" ჩამოყალიბებას. ეს უკანასკნელი, ჩემი აზრით, თავდაპირველად მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით უნდა არსებობდეს. აგრეთვე აუცილებელია, რომ სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემიას დაუბრუნდეს დოქტორანტურა, აღდგეს აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოები და სხვა.

ასეთ ცვლილებათა შემოღების აუცილებლობა, პირველ ყოვლისა, სოფლის მეურნეობის სფეროში დარგის მეთოდური ხელმძღვანელობის, სამეცნიერო კვლევების, ასევე ახალი ტექნოლოგიების მწარმოებლებისა და მათი უშუალო გამტარებლების, აგრეთვე ახალგაზრდა კადრების მომზადების ცენტრის (ამ შემთხვევაში დოქტორანტურის) "ერთ ჭერქვეშ" თავმოყრა-გაერთიანების საჭიროებითაა განპირობებული. ამისთვის კი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხარდაჭერაა აუცილებელი.

- როგორია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისთვის ესოდენ მნიშვნელოვან საერთაშორისო კონტრაქტები?

- ამჟამად კარგი ურთიერთობა, ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე, გვაქვს იტალიის, საფრანგეთის, სამხრეთ კორეის, ჩინეთის, ტაივანის, რუსეთის, ბელარუსის, უკრაინის, ყაზახეთისა და სხვა ქვეყნების დარგის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, რომლებთანაც სხვადასხვა მიმართულებით ვთანამშრომლობთ. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩვენი აკადემია უკვე ხუთი წელია რაც ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის წევრია, რომლის ვიცე-პრეზიდენტი მე გახლავართ. რაც ჩვენი ეროვნული სოფლის მეურნეობის აკადემიის და საერთოდ ქართული მეცნიერების თვალნათელი აღიარების მაგალითია.

X X X

გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი გულითადად ულოცავს პროფესორ გურამ ალექსიძეს საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად არჩევას და შემდგომ წარმატებას უსურვებს მას სამეცნიერო მოღვაწეობასა და პირად ცხოვრებაში.

მეცნიერს შეხვდა და ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე